დმანისის მუნიციპალიტეტის
მერი

ქ. დმანისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 8

04/01/2019

8-07-4-201901042148

მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთანკონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 854 მუხლის პირველიპუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები №1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.

2. მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.

3. თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს №1 დანართის მიხედვით.

4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09-დან 18 საათამდე, 2019 წლის 14 იანვრის ჩათვლით დანართი N2 გათვალისწინებული საპროექტო წინადადების ფორმის შესაბამისად.

5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანასებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

ა) ლევან მანთაშაშვილი, მობილურის N591700283, ელ.ფოსტა: mantashashvili88@mail.ru;

ბ) მარიამ ციხელაშვილი, მობილურის N599856895, ელ.ფოსტა: mtsikhelashvili@gmail.com;

გ) გიორგი ავალიშვილი, მობილურის N591079088, ელ.ფოსტა: g.avalishvili1993@gmail.com;

დ) გიორგი ტატუაშვილი, მობილურის N591700239, ელ.ფოსტა: tatuashvili2013@gmail.com;

ე) მერის წარმომადგენლები შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში.

7. საერთო კრების საქმიანობის წარმართვის უფლებამოსილება იქ სადაც არ არის არჩეული საერთო კრების რჩეული დაევალოთ მერის წარმომადგენლებს შესაბამის ადმინისტრაცულ ერთეულებში (საერთო კრების წევრთა რეგისტრაცია, გვარი სახელი, დაბადების თარიღის, პირადი ნომრის რეგისტრაციის ადგილის, ხელომოწერის მითითებით. მათ შორის ოქმის შედგენა და მდივნის ფუნქციის შესრულება).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოს დმანისის მაგისტრატ სასამართლოში (ქ. დმანისი, წმ. ნინოს ქუჩა №42)

გიორგი ტატუაშვილი

მუნიციპალიტეტის მერი